საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი

ბრძანება № 167

თბილისი „21" 02 2019 წ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - პროფესიული კოლეჯის „ბლექსი" სამეთვალყურეო საბჭოს წევრობის (დამსაქმებლის წარმომადგენლის) მსურველთა რეგისტრაციის გამოცხადების შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის N468 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დებულების" მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" და „ლ" ქვეპუნქტების და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – პროფესიული კოლეჯის „ბლექსი" წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 19 მაისის N89/ნ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული წესდების მე-10 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილის 2019 წლის 18 თებერვლის N183973 მოხსენებითი ბარათის გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს სსიპ - პროფესიული კოლეჯის „ბლექსი" სამეთვალყურეო საბჭოს წევრობის (დამსაქმებლის წარმომადგენლის) მსურველთა რეგისტრაცია და რეგისტრაციის ვადა განისაზღვროს 2019 წლის 25 თებერვლიდან 2019 წლის 13 მარტის ჩათვლით არსებული პერიოდი;

2. დაევალოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტს ამ ბრძანების გამოქვეყნება სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).

მიხეილ გიორგაძე
მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი